მშვენიერთა ხელმწიფავ

მშვენიერთა ხელმწიფავ,
მკლავს სიშორე შენითა.
ჰკვნესის გული საკვდავათ
მსწრაფლ მჩივარის ენითა.

შენ განმშორდი მკურნალო,
ვითარ მექმნას შვებანი:
ნაცვლად შენსა ვინ ვპოვო
მომცეს ჭმუნვის ვსებანი.

თუმცა მომკლავს ტრფიალსა,
და ჰხმობს ეშხით მწყაზარსა,
უმჯობეს არს მომვაჭრო,
ჩემებრ ოხვრით ბაზარსა.

შორის მჭვრეტელ მოსწრაფე
სული შენკენ მფრინვალებს.
ოდეს თვალი შენ გნახავს,
ყოვლად გაგვაბრწყინვალებს.

შენთან ყოფნა მცირეს ხანს
მომცემს რასმე ლხენასა:
შენ მტანჯავ და მე გაქებ,
რისთვის იხშავ სმენასა?!